1 მაისიდან ამოქმედდება:

1) **თამბაქოს მოხმარების აკრძალვა** საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გარდა პირის საცხოვრებელ ბინაში, ტაქსში, კატერში, აეროპორტის სატრანზიტო ზონაში სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, სამორინეში, თამბაქოს კვამლის შემსწავლელ ლაბორატორიაში, ლიზენზირებულ სიგარაბარში, პენიტენციურ დაწესებულებებში და წინასწარი დაკავების იზოლატორში თამბაქოს მოხმარების შემთხვევებისა - *მე-10 მუხლი;*

2) **ანგარიშგების ვალდებულება** თამბაქოს კომპანიების მხრიდან თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობებისა და გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვის ლაბორატორიული სტანდარტით ჩატარების შესახებ, მთავრობის 2018 წლის 15 დადგენილებით დამტკიცებული წესით - *მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;*

3) **თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციისა და განლაგების წესები** - თამბაქოს რეალიზაციაში 18 წლამდე პირთა ჩაბმის აკრძალვა, თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის აკრძალვა 18 წლამდე პირებზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებთან 50 მეტრის რადიუსში, ბავშვთა ტანსაცმლის, კვების, სათამაშო -სავაჭრო ობიექტებში, საჯარო დაწესებულებებში, სამედიცინო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში; ერთეული ღერებით ან ნაკლული კოლოფით, ან შეფუთვის გარეშე რეალიზაციის, აგრეთვე ინტერნეტით, მექანიკური ან ელექტრონული საშუალებით რეალიზაციის აკრძალვა - მე-5 *მუხლის მე-2 პუნქტის ა) - ლ) ქვეპუნქტები, მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები;*

4) **თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების რეკლამის, სპონსორობისა და პოპულარიზაციის სრული აკრძალვა,** მათ შორის გათამაშება, საჩუქრის სახით შეთავაზება, ქსელური მარკეტინგი, ტელემარკეტინგი, არაპირდაპირი წახალისების ხვადასხვა ფორმები, მასობრივ ჩვენებებში დემონსტრირების აკრძალვა და ა.შ. - *მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი* ;

5) **სიგარაბარის მოწყობა,** სანებართვო პირობები და პასუხისმგებლობა ამ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში - *მე-10[1] და მე-10[2] მუხლები.*

1 სექტემბრიდან ამოქმედდება:

1) **საჯარო დაწესებულებებში თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების ჩაურევლობის პრინციპის** დაცვა, გამჭვირვალეობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა - *მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი;*

3) **თამბაქოს ნაწარმის შეფუთვასთან და დიზაინთან დაკავშირებით** პიქტოგრამების, გაფრთხილებების დატანის წესები - *მე-6 მუხლი*; **დათქმა - ნაწარმის ახალი შეფუთვით ბაზარზე გატანა მოხდება 2019 წლის 1 იანვრიდან !**

2) **რეალიზაციის ახალი წესი** - თამბაქოს არცერთი ნაწარმის განლაგება არ უნდა მოხდეს ვიტრინაზე, დახლზე და ისეთ ადგილას, სადაც ის ობიექტის **გარენდან** არის ხილვადი - *მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მ) ქვეპუნქტი* ; ე.წ. „დრაივ ტობაკო“-ს სრული აკრძალვა- *მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ო) ქვეპუნქტი*

2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება: **რეალიზაციის განახლებული წესი** - თამბაქოს არცერთი ნაწარმის განლაგება არ უნდა მოხდეს ვიტრინაზე, დახლზე და ისეთ ადგილას, სადაც ის ობიექტის **შიგნიდან** არის ხილვადი (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ნ) ქვეპუნქტი);

2022 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდება: ე.წ. **სადა შეფუთვა** - თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესი - *მე-5[1] მუხლი, მე-6 მუხლის მე-9-მე-13 პუნქტები;*